50.
2
572

# ლიანდაგი

„აუვადი, ტურფა ქვეყანავ,
ილხინე, ქართველთ მხარეო,
და შენც, ქართველო, სწავლითა
სამშობლო გაახარეო! “

№ 1 იანვარი 1950

# დილა

№ 1

საქართველოს ალკკ ცენტრალური
კომიტეტის ყოველთვიური საბავშვო
ჟურნალი მცირეწლოვანთათვის

იანვარი
1950


„აეკვადი, ტურფა ქვეყანავ,
ილიჩინ, ქართველთ მხარეო,
და შენც, ქართველო, სწავლითა
სამშობლო გაახარეო!"


ДИЛА
ежемесячный детский журнал
ЦК ЛКСМ ГРУЗИИ


ვახტანგ ნადარეიშვილი

## ლენინის მავზოლეუმში

აქა სძინავს ძია ლენინს.—
ასე უთხრა მამამ ნოდარს,
როცა წითელ მოედანზე,
მავზოლეუმს გაუსწორდა.
მერე ფრთხილად ძირს ჩამოსვა,
და მდუმარე ხალხთან ერთად
მამამ ქუდი მოიხადა
მარმარილოს შესასვლელთან.
ფეხაკრეფით ჩაუარეს
კარებთან მდგომ ჯარისკაცსა,
სდუმს ნოდარი, იგი ამ დროს
ერთმა ფიქრმა გაიტაცა...
უსათუოდ ახლოს მივა
და ბავშვური გულის ფეთქვით,
დიად ლენინს მოწიწებით
შეჰფიცავს და ასე ეტყვის:
— მეც ვასრულებ წმინდა სიტყვებს,
ჩვენ, ბავშვებს რომ გვიანდერძე,
თუ სწავლაში პირველი ვარ,
მე შრომასაც კარგად შევძლებ.
მეც იმედად ვეყოლები
გამარჯვებულ სამშობლოსა,
არასოდეს ვუღალატებ
შენს საქმეს და წითელ დროშას.
ჩვენ, პატარა ლენინელებს
შენი დროშა მუდამ გვფარავს;
წინ სტალინი მიგვიძღვება,
მისი შუქი გვმოსავს მარად.

9828

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ს. მიხალკოვი

ხახატები შალვა ცხადაძისა

# ლენინის მუზეუმში

(თავისუფალი თარგმანი)

მოსკოვში ერთი სახლია
დიდი და გამოჩენილი,
ამ სასახლის მსგავს შენობას
ზედ აწერია: — ლენინი.

ეს მისი მუზეუმია
ზემოთ, სურათზე ხატია,
შიგ მუდამ მზის ნათელია,
შიგ მუდამ განთიადია.

როცა დარბაზებს დაივლი,
მარადჟამს გემახსოვრება,
სულ თვალწინ დაგეხატება
დიდი ბელადის ცხოვრება:

აი, ის სახლი, სადაც მან
თვისი ბავშვობა ატარა
და სადაც ქების სიგელით
შინ ბრუნდებოდა პატარა.

გიმნაზიელის წიგნები
თაროზე კოხტად აწყვია, —
მას ბევრჯერ გადაუკითხავს
და ფიქრებს გაუტაცნია.

ის ბავშვობიდან ფიქრობდა
და ოცნებობდა ამაზე,
რომ ბედნიერად ეცხოვრათ
მშრომელებს მთელს ქვეყანაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი ბელადის ლენინის
ცხოვრების გზას ვაკვირდებით—
იზრდება ულიანოვი,
გზას უკაფავენ წიგნები.

წელი წელს მისდევს, დრო მიდის,
იცის ბრძოლები ექნება,—
ის საიდუმლოდ ესწრება
მუშათა მრავალ შეკრებას.

ჩვიდმეტის გახდა და მისი
მეფესაც კი ეშინია,
რადგან ის უშიშარია,
მებრძოლი ხალხის შვილია.

და, აი, გადაასახლეს...
მაგრამ კვლავ უკან ბრუნდება—
მუშათა კრებებს ჯტარებს,
მშრომელებს ესაუბრება...

* * *

კვლავ საპყრობილე, კვლავ ციხე,
მკაცრი, ხანგრძლივი ზამთარი...
ტაიგა, ცივი ციმბირი
მებრძოლის ბინად გამხდარი.

ქოხში სინათლე ანთია
დილამდე, ლამპრის ღიმილში—
საბრძოლო ფურცლებს ათეთრებს
უსაყვარლესი ილიჩი.

აი, ჩვენს წინ დევს დღიური,
გაღიმებული ვუცქერით,
ხალხს ბრძოლისათვის ეძახის
მისი ყოველი ფურცელი.

* * *

ჩვენ სხვა დარბაზსაც ვეწვიეთ,
ვნახეთ, სწორედ ის კარავი,
სადაც მტრებს ემალებოდა
მებრძოლი დაუღალავი.

აი, მეთევზის ნიჩაბი,
ცელი, ნაჯახი, ფოცხები,
გაკვირვებული ვუცქერით
და შორს მივდივართ ოცნებით.

ყველაფერს ვხედავთ, მას მერე
რამდენი წელი გავიდა.
თვალს ვერ ვაშორებთ ღიმილით
დიდი ლენინის ჩაიდანს.

რა ძვირფასია ლენინის
ნაქონი ნივთი ყოველი!
მისი ხელებით გამთბარი
და ჩვენი დამატკბობელი:

აი, ის საწერ-კალამი,
ლენინს რომ ხელში ეჭირა,
დეკრეტს ამ კალმით აწერდა,
რომ ხალხი გადაერჩინა.

აი, საათი რომელსაც,
ის ჯიბით დაატარებდა.
მას ენდობოდა და არსად,
არასდროს იგვიანებდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



აი, ქუდი და შინელი,
ქუდზე ვარსკვლავი აშუქებს.
მას, როგორც პირველ კომისარს
არმიელებმა აჩუქეს.

სამოქალაქო ომის დროს
მტერმა რომ ჯარი შეჰყარა
და საფრთხე ემუქრებოდა
დიად საბჭოთა ქვეყანას,—

ჩვენ ვხედავთ ფრონტის დეპეშას—
სტალინს უგზავნის ბარათებს.
ყველგან ძვირფასი ლენინის
ხელით ნაწერი ანათებს.

* * *

გაივლის წელი მრავალი
და რასაც ხალხი აფასებს,—
ძვირფას ნივთებს და სურათებს
საუკუნეებს გადასცემს.

რომ მუზეუმში მოსულმა
მსოფლიოს ყველა მშრომელმა,
შეისწავლოს და გაიგოს
დიდი ლენინის ცხოვრება.

ის ბავშვობიდან ფიქრობდა
და ოცნებობდა ამაზე,
რომ ბედნიერად ეცხოვრათ
მშრომელებს მთელს ქვეყანაზე.

რომ მონა არ ყოფილიყო,
ხალხს არ ჰყოლოდა ბატონი
რომ გამხდარიყო მშრომელი
თავისი ქვეყნის პატრონი.

და დიდმა ადამიანმა
იდეით, ჩაუქრობელით
წითელ დროშის ქვეშ დარაზმა
მსოფლიოს ყველა მშრომელი.

* * *

ჩვენ ვხედავთ ლენინის ოთახს
მაგიდას, ლამპარს, სავარძელს.
კრემლიდან გადმოიტანეს
და სწორედ ისე დააწყვეს.

მაგიდა ისევ ისე დგას,—
მასზე ლენინი შრომობდა,
ლამეს ათევდა, რომ მშრომელს
ტკბილი სიცოცხლე ჰქონოდა.

ამ მაგიდასთან ლენინი
სტალინთან ბჭობდა მრავალჯერ.
მათ ხალხის საკეთილდღეოდ
ბევრი საკითხი გადასჭრეს.

აი, სურათი ჰკიდია,
ჩარჩოში გამოყვანილი:
ერთად არიან ძვირფასი
დიდი ლენინი, სტალინი.

როცა ამ სურათს შეხედავ
მთელი ოთახი შუქდება,
დიდი სტალინი დიდ ლენინს
ღიმილით ესაუბრება.

ერთმანეთს შეწყობილი აქვთ
მათ გულის ფეთქვა ზიარი.
ხალხისთვის ფიქრობს, ოცნებობს
ეს ორი ადამიანი.

* * *

დიად მუზეუმს ეწვივნენ
დროშის ქვეშ დარაზმულები
პატარა ლენინელები
ალალმართალი გულებით.

უცბად გაისმა დარბაზში
უკვდავი ფიცის სიტყვები:
„როგორიც იყო ლენინი—
ჩვენც ისეთები ვიქნებით!

სამშობლოს ვემსახურებით
მის საქმეს შევეწირებით—
დიდი სტალინის გაზრდილნი
ლენინის ქვეყნის შვილები!“



ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ეგნატე ნინოშვილი

ეგნატე ნინოშვილს რეალისტ მწერალს უწოდებენ, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი გვიხატავდა ცხოვრების ნამდვილ სურათებს. ე. ნინოშვილი 90 წლის წინათ დაიბადა გურიის პატარა სოფელ ჩირგვეთში. იმ დროს გლეხობა აუტანელ ჩაგვრას განიცდიდა მებატონეებისაგან და მეფის მოხელეებისაგან. ნინონოშვილის ყველა მოთხრობაში აწერილია მაშინდელი გლეხობის საშინელი მდგომარეობა. თვით მწერლის ცხოვრებასაც რომ გადავავლოთ თვალი, დავინახავთ როგორი სასტიკი იყო მაშინდელი დრო.

ე. ნინოშვილი დაიბადა ღარიბი გლეხის ოჯახში. დედა ადრე გარდაეცვალა და ბავშვის აღზრდა იკისრა მამიდა ნინომ. სწორედ ამ მამიდის სიყვარულით დაირქვა მწერალმა ნინოშვილი, ისე კი მისი ნამდვილი გვარი ინგოროყვა არის. მამიდა ნინომ შეასწავლა შვიდი წლის ეგნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტეს წერა-კითხვა: მაშინდელი ჩვეულების მიხედვით მდინარესთან მიიყვანა, წყალში ფეხი ჩააყოფინა — „წყალივით კითხვას ისწავლისო“ — და ხელში ქაღალდი და ფანქარი დააჭერინა. შემდეგ ეგნატე შეიყვანეს ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში. იგი ცხოვრობდა ფანჯრებ-ჩამტვრეულ, მიწის იატაკიან ქოხში. ხშირად ნავთი არა ჰქონდა და წიგნს კითხულობდა ფიჩხის ცეცხლის სინათლეზე. თავისი ხელით იცხობდა მჭადს და ძალიან ხშირად მშიერი იყო. ამის მიუხედავად ეგნატე მაინც პირველ მოწაფედ ითვლებოდა. ამხანაგებს იგი უყვარდათ პირდაპირობისა და ბეჯითობის გამო. მაგრამ მაშინდელი სკოლის ადმინისტრაციას არ მოსწონდა სიმართლის მოყვარული და პირდაპირი ახალგაზრდა და იგი სკოლიდან დაითხოვეს.

ამის შემდეგ ეგნატემ სამუშაოს საძებნელად თითქმის მთელი დასავლეთი საქართველო მოიარა. ჯერ ბათუმის ნავსადგურში მუშაობდა მტვირთავად — ზურგით ფიცრებს ეზიდებოდა და მძიმე შრომისაგან ხელის თითებში სისხლი სდიოდა. სუსხიან ზამთარში იგი საზაფხულო ხალათით დადიოდა. საოცარი გულმოდგინეობისა და მწერლობის დიდი სიყვარულის გამო ეგნატე ნინოშვილი აუტანელი ფიზიკური შრომის შემდეგ ღამეებს ათენებდა მოთხრობების წერაში.

ცხოვრების ცუდმა პირობებმა გასტეხა ნაზი აგებულობის მწერალი. იგი დაავადმყოფდა ჭლექით და გარდაიცვალა 35 წლისა.

ეგნატე ნინოშვილი ქვეყნად გამეფებულ ძალმომრეობას ვერ ურიგდებოდა და თავისი მოთხრობებით ილაშქრებდა მის წინააღმდეგ.

თქვენ ალბათ ყველას გაგიგონიათ, იქნებ წაგიკითხავთ კიდეც ნიკოსა და ივანეს საშინელი ბედის ამბავი ნინოშვილის ერთ-ერთი შესანიშნავი მოთხრობიდან „პალიასტომის ტბა“; გლეხის — კაცია მუნჯაძის ამბავი, რომელიც უსამართლობის მსხვერპლი გახდა. უსამართლობამ იმსხვერპლა აგრეთვე გოგია უიშვილი, სპირიდონ მცირიშვილი... ესენი ნინოშვილის მოთხრობების გმირები არიან.

ეგნატე ნინოშვილი თავის გმირებს ხალხში ნახულობდა და მათი ამბავი გადმოჰქონდა მოთხრობებში, რომლებშიაც იგრძნობა დიდი მხატვრის თვალი, ფაქიზი გემოვნება და ოსტატის კალამი. სწორედ ამით აიხსნება, რომ ნინოშვილის მოთხრობები ერთხელ წაკითხვის შემდეგ აღარასოდეს გვავიწყდება.

მშრომელი ხალხი მწერლის სიცოცხლეშივე დაეწაფა ამ მოთხრობებს და შეიყვარა თავისი ქომაგი, მოსარჩლე და გულის მესაიდუმლე მწერალი.

ზურაბ ქუმსიშვილი

ნახატი ვ. ჯიფარიძისა

# ახალი სახლი

რა მაღალი სახლია,
რა ლამაზი რამ არი!
აქა ცხოვრობს თამარი,
კუდრაჭა და თამაში.
ამ ადგილას, მანამდე
იდგა ძველი შენობა,
ქუჩას აუშნოებდა,
განა, როდი შეენოდა!

ის შენობა აიღეს
და ააგეს ახალი,
ხარობს ეველა მნახველი:
—დიდია და მაღალი!
აქა ცხოვრობს თამარი
თავის დედოფალათი,
მას სურს ია ინყინერს
გაუგზავნოს ბარათი.

მისწერს: „მადლობელი ვარ,
წემო კარგო ია,
გავამართლებ თქვენს ამაგს,
რითიც შეიძლება.
მე სულ კარგად ვისწავლი,
და დიდი რომ გავხდები,
ინყინერი ვიქნები,
რომ ვაშენო სახლები;

ია გაუხარდება,
იტყვის: შეხეთ ამასო,
რა ჩქარა უსწავლია
წერა-კითხვა თამარსო.
ასე კარგი წერილი
ვინც მოიწერა ადვილად,—
ის მოცემულ პირობას
შესრულებს ნამდვილად“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი შაგბერაშვილი

ნახატები ბ. გოგაძისა

# ცერო შერცხვა

სასაცილო ამბავი დაემართა ახალწლის დილით პატარა ცეროს. შერცხვა, რომ იცოდეთ, როგორ შერცხვა! მერე ვისთან, არ იკითხავთ?

თავის თავთან... სხვას არავის გაუგია, არ დაუნახავს, მაგრამ შერცხვენა შერცხვენია. თავის ტოლ გოგო-ბიჭებში მუდამ თავი მოჰქონდა ვაჟკაცობით, გამბედაობით, ახალწლის დილით კი...

ჰოდა, ახალწლის ღამეს ცერომ აიხირა, ხვალ დილაადრიან ძია ნიკაანთსა მეკვლედ უნდა გამგზავნოთო. დედამ დაუშალა: ჯერ პატარა ხარ, შენი მეკვლედ მარტო გაშვება არ შეიძლებაო. ბევრი იტირა ცერომ, ბევრი ემუდარა დედას. ბოლოს საქმეში საყვარელი პაპა თევდორე ჩაერია და დედა დაითანხმა.

პატარა მეკვლე წინაღამესვე მოამზადეს, ჭრელ ხურჯინში ბრავალი რამ ჩაულაგეს: გოზინაყი, თურაშაული ვაშლები, ლეღვის ჩირი, ჩურჩხელები და კიდევ ვინ მოსთვლის!

მერე მეკვლეს სიტყვები გააზეპირებინა პაპა თევდორემ შვილიშვილს:

— რა მოგაქვს?..

— ბედნიერება, სიკეთე, გამრავლება!

ტახტზე მიწოლილი ცერო თვლემდა, ამ სიტყვებს ბუტბუტით იმეორებდა, მთელ ღამეს თვალი არ მოუხუჭავს.

განთიადისას მცირეხანს ჩაეძინა და ის იყო, პაპა თევდორემ გადმოსძახა: აბა, ცერო, წამოხტიო!

ცერო სწრაფად წამოდგა, ტანთ ჩაიცვა და თავისი პატარა ხურჯინი მხარზე მოიგდო. დედამ პირში გოზინაყი ჩაუდო, გადაჰკოცნა, ახალი წელი მიულოცა და კარი გაუღო.

— აბა, ჩემო ვაჟკაცო, წადი, ფრთხილად იარე!

ეზოში ჯერ ისევ ბინდი იდგა. ჩაბნელებულ ორღობეს რომ დაადგა ჩვენი ცერო, ცოტა არ იყოს შეკრთა, მაგრამ ფიქრის დრო სადღა იყო. პირველად ხომ არ მიდის ამ ორღობით. აი, აქვე ცხოვრობს ძია ნიკა.

უცებ ზურგიდან ფეხისხმა შემოესმა. თავისი მურია ასდევნებოდა. რა იცოდა ცერომ, თუ მის ნაკვალევს მურია მოჰყვებოდა ძუნძულით. გული შიშით შეეკუმშა, ფეხს აუჩქარა. უკან გაუბედავად მოიხედა და თოვლში რაღაც შავს მოჰკრა თვალი.

„ვაი, მგელი“... გაიფიქრა ცერომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ორღობე გულისფანცქალით გაირბინა.

მურიაც უკან მისდევდა. აბა, რას იფიქრებდა კეთილი მურია, თუ ამით უარესად აფრთხობდა თავის შეშინებულ პატრონს.

აი, ძია ნიკას სახლიც...

სანამ კიბეს მიაღწევდა, რამდენჯერმე დაუსხლტა ფეხი და თოვლში გადაკოტრიალდა. წამოხტა და ისევ გაიქცა. მაინც არ მოიხედა უკან, ჩაკეტილ კარს მიადგა. ოთახიდან ძია ნიკას სიცილი მოესმა ცეროს.

ვაი თუ დაინახეს?

თოვლში ამოგანგლული ხურჯინი დაბერტყა და კარი სწრაფად დააკაკუნა.

— კარი გამიღეთ!

შიგნიდან ძია ნიკას მხიარული ხმა გაისმა

— რა მოგაქვს?

ცეროს სულ დაავიწყდა გაზეპირებული სიტყვები ზურგსუკან მურიას ფეხისხმა ახლოვდებოდა. არც

აცივა, არც აცხელა, ისე შესძახა:

— ძია ნიკა, ჩქარა, ჩქარა გააღე!

კარი სწრაფად გაიღო. ძია ნიკა სიცილით გამოვიდა. პატარა მეკვლეს შუბლზე აკოცა, ხომ არ შეგცივდაო, ჰკითხა და მურიას დაუტია.

ცერომ ახლა კი მიიხედა უკან. კუდამოძუებული მურია რომ დაინახა, იცით, ბავშვებო, როგორ შერცხვა, სულ თურაშაულ ვაშლივით დაუწითლდა ფერდაკარგული ლოყები.

ძია ნიკა ოთახში შეუძღვა პატარა მეკვლეს. თან ჩუმად ხითხითებდა თან ცეროს ბიძაშვილებს აღვიძებდა:

— ადექით, თქვე მძინარებო, თქვენა, ხედავთ, ცერო გვესტუმრა. აი, ყოჩაღი ბიჭიც ესა ყოფილა!

ბავშკები წამოიშალნენ და ხურჯინგადაკიდებულ მეკვლეს ყიჟინით გარს შემოეხვივნენ.

— რა მოგვიტანე, ცერო, რა?

ეკითხებოდნენ ბავშვები ცეროს და თან ცალი თვალით ხურჯინში იჭყიტებოდნენ.

— ბედნიერი ახალი წელი, სიკეთე...

ბუტბუტებდა გამხნევებული ცერო და ტოლებს უღიმოდა.

რა იცოდნენ, ამ ორიოდე წამის წინ როგორ უცემდა ცეროს გული, როგორ სწყევლიდა ერთგულ მურიას?

აი, ასეთი ამბავი დაემართა ახალწლის დილით პატარა ცეროს, შერცხვა, ძლიერ შეოცხვა. კიდევ კარგი, არავინ დაიხახა.

დაიცათ, დიდი ბიჭი გაიზრდება, გულს გაიმაგრებს. მომავალ ახალწელს ნამდვილი მგლისაც არ შეეშინდება!

ილია სიხარულიძე

## პატარა ბიჭო არსენა

ჯერ არ იცის არსენამ
მარჯვენა და მარცხენა.

მას კი ასე ჰგონია,
რომ ის დიდი კაცია;
გუშინ დიღას ფისუნა
ცალი ხელით ასწია;

ფეხებზე კი წაღები
ნახეთ როგორ აცვია:
მარჯვენაზე—მარცხენა,
მარცხენაზე—მარჯვენა!

ჯერ არ იცის არსენამ
მარჯვენა და მარცხენა.

## თოვლის მოსვლა მიხარია!

თოვლის მოსვლას ველოდები,
ვიცი ნატვრა ამიხდება:
დავიძინებ და ერთ დიღას
ეზო თეთრად დამიხვდება.

ხეები და ლობე-სახლი
თოვლის ქუდებს დაიხურავს,
აივანზე მესტუმრება
გუღწითელა და ბელურა.

თოვლი ცოტა სქღად თუ დადო,
სხვა ჩიტებიც მეწვევიან;
თოვლის პაპას წამოვასხამ
ნაბადს, თოვლის ბეწვებიანს.

ვითამაშებ, გავიხარებ,
თოვლის პაპას ვესვრი გუნდებს,
ციგით მაინც ვისრიაღებ,
გინდ ათასჯერ გადაბრუნდეს!

## ნ ა ნ ა

წამოხტება ნანა
ადრე ყოველ დიღით;
წამსვე პირს დაიბანს,
რომ დაიფრთხოს ძიღი.
სახეზე წყაღს ისხამს,
საპნით იბანს ისე,—

რომ ღაპღაპი გააქვს
ყურებს, ყელს და კისერს!
ყოჩაღია ნანა,
არ იცოდით განა?!

ნახატები **გ. ჩირინაშვილისა**

**მურმან ლებანიძე**

ნახატები **გ. ჩირინაშვილისა**

# დათუნა

მე და დათუნამ ერთმანეთი შემთხვევით გავიცანით.

ახალწლის წინა დილით თეთრ ქურქში ჩათბუნული პაწაწინა ბიჭი დალმართზე მობაკუნებდა. ქვაფენილი გაყინული იყო და ზედ ქვიშასავით წვრილი, წუხანდელი ხორხოშელა წაჭყოდა ყინულს. ახლა უკვე ფართე, ფაფუკი ფთილებით თოვდა. ბიჭი ფრთხილად ადგამდა ახალთახალ ფეხსაცმელებში მკვიდრად ჩადგმულ ფეხს და მკერდზე მიხუტებულ დიდ პურს ქურქით ჰფარავდა, რომ თოვლს არ დაესველებინა.

გადასასვლელთან ქვაფენილიდან ფრთხილად ჩამოდგა ფეხი, თოვლწაყრილ ქვაზე წასრიალდა და არ წაქცეულა, მაგრამ დიდი, ცხელი პური გაუცურდა და იდაყვებით გაიჩერა მუხლისთავებთან. იდაყვებით იმიტომ, რომ ცალ მუჭში ხურდა ფული ეჭირა, მეორეში — პურის დაწონილი ნაჭერი.

— ძია, — წარმოსთქვა ბიჭმა როცა, თვალი შემასწრო, — შენი ჭირიმე, მიშველე ძია...

ყურებიანი ბეწვის ქუდი გვერდზე მოქცეოდა გაჭირვებაში ჩავარდნილს, არც პურის ხელიდან გაშვება უნდოდა და ვეღარც ფეხის გადადგმა მოეხერხებინა.

ერთი ხელი იდაყვში ჩავავლე, მეორეთი პური გამოვართვი და ბიჭი მეორე მხარეს გადავიყვანე.

— უჰ, კინალამ დამივარდა, მადლობელი ვარ, ძია, — ამოიხვნეშა ლოყებაწითლებულმა ბიჭმა. პური აღარ დავუბრუნე, გზა ერთი გვქონდა და საუბრით განვაგრძეთ.

— რა გქვია, ბიჭუნი?

— დათუნა.

— რამდენი წლისა ხარ?!

— ექვსის.

— დედ-მამა გყავს?!

— დედა ავადა მყავს, მამა კარგათა მყავს, ოღონდ შორს არის.

— მაინც სად არის?!

— მთებშია, რალაცა ქვებს ეძებს...

— აჰა, გეოლოგი ყოფილა მამაშენი...

— ჰო, — თავი დააქნია ბიჭმა.

დათუნამ თავისი ამბავი მიამბო. დაუზარელი და გამბედავი ბიჭი ყოფილა. ყველაფერი იცის: ახლო-მახლო გზები და მალაზიები, საბავშვო ბაღშიც მარტო დადის. დედა გაციებულა და მთელი კვირაა წევს. პურზეც დათუნა დადის და მეზობლებშიც, დედა რომ გააგზავნის. ამას წინათ მენავთემ ჩამოიარა ზარის წკარუნით. — შვილო, — უთხრა დედამ, — გადი დეიდა თამართან და თხოვე ნავთი მიყიდოს. დათუნამ მაგიდიდან ერთი ფული აიღო, დერეფანში თუნუქის პატარა სანავთეს დაავლო ხელი, ქუჩაში ჩავიდა და უცებ აიღო ნავთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ნაძვისხე ხომ გაქვს, დათუნი, ხვალ ახალი წელია?!—ვთქვი მე.

— მაქვს, საბავშვო ბაღში გვაქვს. სახლშიც... მამიდამ მომიტანა, დღეს უკვე დედაც კარგათაა. აი, ახლა, პურს რომ მივიტან სახლში, საბავშვო ბაღში წავალ და ხვალისათვის ამხანაგებს დავპატიჟებ ნაძვის ხეზე, — დედამ ასე მითხრა.

ამასობაში მეზობელ ეზოდან პატარები გამოცვივდნენ თოვლის გუნდებით.

— გმადლობთ, ძია, გმადლობთ. — წარმოსთქვა ბიჭუნამ, როცა ამხანაგებს თვალი მოჰკრა, და აჩქარებით გამომართვა პური.

* * *

ახალწლის დილით ქუჩაზე ჩავლილმა სწორედ იმ გადასასვლელთან, სადაც მე და დათუნამ ერმანეთი გავიცანით, ბავშვების გუნდს მოვკარი თვალი. ათი-თორმეტი ბიჭი და გოგო ჟივილ-ხივილით გადადიოდა ქვაფენილის მეორე მხარეს.

— ფრთხილად! აი, ამ ქვას დაადგი ფეხი, არ წაიქცე...

ეს დათუნას ხმა იყო. პაწია გოგონასათვის მკლავში ხელი ჩაევლო და გაფაციცებულიყო. გოგონას ცალი ფეხი წინ გაეშვირა ქვაზე დასადგმელად.

როცა ბავშვები ქვაფენილის მეორე მხარეს გადავიდნენ, დათუნამ შემნიშნა, თვალები გაუბრწყინდა და სიხარულით შემეხმიანა:

— გამარჯობა, ძია... აი, ესენი ჩემი ამხანაგები არიან, ნაძვის ხეზე მიმყავს სახლში. თქვენც წამობრძანდით ძია, გვესტუმრეთ ნაძვის ხეზე...

ბავშვები ჟივილ-ხივილით შევიდნენ ალაყაფის კარებში. პატარა სტუმრებს ეზოშივე გამოეგებნენ უფროსები. ათოვდა მალალ შენობებს და ახალ წელს ზეიმობდა თბილისი.

---

შალვა ფორჩხიძე

## მეც მეგობრულად შეგხვდებით

გარინდებულა ხეხილი
თოვლისგან გადაბუმბლული,
ფრთებშეფიფქული ჩიტები
საკენკს ეძებენ ჟღურტულით.

— რა გაჟღურტულებთ, ჩიტებო!—
ფიფქი მოცვივა შრიალით;
ჩვენს ჭერქვეშ გაზაფხულია,
ჩემთან მოფრინდით ფრთხიალით.

მოფრინდით, საკენკს დაგიყრით,
არ დამირჩებით ნაწყენი,
ჩვენი საბძელის კარები
ამ დილით თქვენთვის გავხსენი.

კაკანათს აღარ დაგიგებთ,
არ გაებმებით ფეხებით,
და ჩემთან თუ მოფრინდებით
მეც მეგობრულად შეგხვდებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კ. გოგიაშვილი

ნახატები ი. გაბაშვილისა

# ციყვი და ყვანჩალა

## პიესა ერთ სურათად

მონაწილენი:

1 ციყვი
2. ბუთაკუნა-ციყვის შვილი
3. ყვანჩალა

(სცენა წარმოადგენს ტყეს. ზამთარია. მარცხნივ ფუღუროსთან ციყვი საქმიანობს და თან ღიღინებს, მარჯვნივ დათოვლილ ხეზე ყვავი ზის და ჩხავის. საღამოა. ფუღუროდან დროგამოშვებით ბუთაკუნა იპვრიტება).

**ყვანჩალა** — გამარჯობა ძმობილო!

**ციყვი** — გაგიმარჯოს ყვანჩალა;
რას დამჯდარხარ ტოტზე და
ჩამომძახი ჩქარ-ჩქარა?!

**ყვანჩალა** — როგორ! ტკბილი ჰანგები
რად არ მოგწონს, ხტუნია?
განა ჩემი სიმღერა
შენი დასაწუნია?!
ო, როგორ მიხარია
რომ მყავს კარგი ძმობილი;
განთქმულია შენი ხმა
და კუდიც გაქვს ცნობილი.

**ციყვი** — რისთვის მაქებ, ყვანჩალავ,
ასე რატომ პირფერობ?
სიმღერა რომ არ ვიცი,
როგორ უნდა ვიმღერო?!

**ყვანჩალა** — მითხარ: სტუმრებს მოელი, —
მათთვის აცხობ ტკბილ ქადებს?

**ციყვი** — არა! ნიგვზის ტკბილ ნამცხვარს
ჩემს ბუთაკუნას ვუმზადებ.

**ყვანჩალა** — მეც მაჭაძე, ხტუნიავ,
აგრემც ტკბილად დაბერდი;

**ციყვი** — აი, თურმე რა გსურდა,
ამიტომაც მაქებდი?!
დაგროვილი კაკალი
რა უყავი ყვანჩალა?

**ყვანჩალა** გამითავდა, შევჭამე,
ვფიცავ. არა დამრჩა რა!

**ციყვი** — მეჩქარება, საქმე მაქვს,
შეხთვის არა ძცალია,
ეგ ამბავი, ძმობილო
მსუნაგობის ბრალია.
სამ თვეს რომ შეგინახო,
რალა მიჭირს ნეტავ მე!
მთელი ზამთრის მარაგი, —
ერთ კვირაში შეჭაძე?!
უნდა გამოგეზოგა,
ამაყად რომ მხვდებოდი,
მაშინ, ყვავო, ამ დღეში, —
აღარ ჩავარდებოდი! (ეძახის)
შვილო, ბუთაკუ —

**ბუთაკუნა** — (გამოდის ფუღუროდან) მოვდივარ!..

**ციყვი** — დაიბანე ხელები?
(ყვავს უცქერის) — რა დროს შემომეჩვივნენ
ეგ არ დასაცლელები...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

(ბუთქუნას) ჯამ-ჭურჭელი დარეცხე?
თხილის ფქვილი გასცერი?

**ბუთქუნა** — დიახ, მაგრამ დედიკო,
გამიფუჭდა საცერი.

**ციყვი** — დროა რომ ვისადილოთ,
ეს ტომარაც ამკიდე.
(ბუთქუნა აჰკიდებს ტომარას)
სოკო?

**ბუთქუნა** — კარგად გავახმე
და თაროსთან დავკიდე...

**ციყვი** — ფუღურო გამთბარია?

**ბუთქუნა** — (ათვალიერებს) რა კოხტა
ნამცხვარია!

(შედიან ფუღუროში და შეაქვთ ნამცხვარი)

**ყვანჩალა** — ერთი იმას უყურეთ
კუდბუთქუნამ რა მიყო!
ეს დღე თუ არ განანოთ,
მე ყვანჩალა არ ვიყო!
(ფუღუროში შესასვლელ კარს უტრიალებს)
რა ტყუილად დავდივარ
აქ ორ დღეზე მეტია...
დამიხედეთ, კარები
როგორ ჩაუკეტიათ!

**ყვანჩალა** — (კარზე აკაკუნებს და ეძახის შეცვლილი ხმით)
ციყვო, ციყვო, ბუთქუნა...

**ბუთქუნა** — (ფუღუროდან) ვინ ხართ... ვინა
გრძანდებით?

**ყვანჩალა** — სტუმრები ვართ, გაგვიღეთ,
ჩქარა, ნუ გვიანდებით...
(ბუთქუნა კარს გააღებს)
კიდევ დაგენანება

ჩემთვის ტკბილი ქადები?!
ჩქარა, ჩამომეცალე,
თორემ შემოგაკვდები!
(შევარდება ფუღუროში)

**ბუთქუნა** — ვაი, დედა, მიშველე,
თავს დაგვესხა ყვანჩალა;
(ყვანჩალას მიაქვს ტომრები)

**ციყვი** — (ყვანჩალას მოსდევს და წინ გადაუდგება)
საით მიგაქვს ტომრები,
ყვავო! დადე აქ ჩქარა.
(ფქვილს შეაყრის თვალებში)

**ყვანჩალა** — ველარ ვხედავ... სადა ვარ...
ვაი... მეწვის თვალები...
(ტომარას დააგდებს)

**ბუთქუნა** — ახლა სადღა წაგვიხვალ,
ველარ დაგვემალები!..
(ყვანჩალას დასდევს და სცემს)
აუ, შენი გულისა,
როგორია, მწარეა?
ახი არის შენს თავზე,
წიწილების პარიავ!

**ყვანჩალა** — ოლონდ ახლა გამიშვით,
ნუ მცემთ... არ გებრალებით?
ვფიცავ ალარ მოვიდე,
ციყვო, გენაცვალები...

**ციყვი** — გვიახ არის, ყვანჩალა,
ახლა თავის მართლება,
უშრომლად გსურს იცხოვრო? —
ასე დაგემართება!

(გახარებული ციყვი და ბუთქუნა ფერხულს ყვლიან დამარცხებული ყვავის გარშემო)

ფ ა რ დ ა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ბუნების კარი

## ზღარბი

ერთ სოფელში, ბაღ-ვენახებით შემორტყმულ ადგილას ცხოველთა ამბულატორია გვქონდა გამართული. კაკლის ქვეშ

გრძელი მაგიდა გვედგა და იქ ვმკურნალობდით ავადმყოფ ცხოველებს.

ერთ დღეს მუშაობა რომ დავამთავრეთ, უცებ ლობის ძირიდან გამოძვრა მოზრდილი ზღარბი, მოგოგდა მაგიდასთან და გაჩერდა. გამიკვირდა; დავაკვირდი, ზურგზე დიდი ჭრილობა ჰქონდა და ეტყობოდა დიდ ტკივილს გრძნობდა, დროგამოშვებით წელში იზნიქებოდა. მაშინვე ავიყვანე, დავსვი მაგიდაზე, ჭრილობა გავურეცხე, შიგ მოსაშუში წამალი ჩავასხი და ძირს ჩამოვსვი. ზღარბი სიამოვნებით გაცოცდა და ისევ ლობეში გაძვრა. ცხადი იყო, რომ ზღარბს ვინმე ონავარი ბავშვისაგან ჰქონდა ჭრილობა მიყენებული.

მესამე დღეს, ზღარბი გამოცოცდა და ჩემს პირდაპირ გაჩერდა. ზურგი მოშუშებოდა, მაგრამ ჭრილობას პირი მაინც ღია ჰქონდა. კიდევ ვუწამლე და გავუშვი. ამის შემდეგ ზღარბი აღარ მოსულა. აშკარაა მორჩა.

ზ. ედილი

## კოლხური სურო

კვირა დილით ბავშვები ათვალიერებდნენ თავიანთ გაშენებულ ციტრუსების ბაღ[illegible]ვა ძია გიორგის მხიარულად ესაუბრებოდნენ.

პატარა ნიკომ ბაღის კუთხეში მიირბინა და ნაჯახი მოიმარჯვა:

— ეს სურო რიღას მაქნისია, უნდა მოვსხიპო!

— მოიცა, არ მოსჭრა! — შეაჩერა გიორგიმ და ყველანი ნიკოსთან მივიდნენ.

— მანდარინის ხეებს შეაწუხებს, — თქვა ნიკომ.

— თქვენ გგონიათ სურო უსარგებლო მცენარეა? — თქვა ძია გიორგიმ, იქვე კუნძზე ჩამოჯდა და ასე დაიწყო:

— სუროს სამშობლო საქართველოა, [illegible]ეგი ჩვენს მხარეში, კოლხიდაში წარმოიშვა, ეს მარადმწვანე მცოცავი ბუჩქი [illegible]ოცდახუთ მეტრამდე იზრდება და ქვებს [illegible]და ლობეებს ზედ აეკვრება ხოლმე. შეხედეთ, ყუნწზე დაყრდნობილია გულისებური ფორმის ფოთლები, მათი ქვედა მხარე უფრო ღია მწვანეა, ვიდრე ზედაპირი. სუროს მერქანი მოთეთროა და გული დაძარღვული აქვს. სუროს ყვავილი ოქტომბერში იწყებდება, ხოლო ნაყოფი — მრგვალი და შავი ფერის მარკვლები — დაზამთრებისას. სურო მრავლდება თესლით. სუროს თესლი დიდი ხანია რაც საქართველოდან ევროპაში და აზიაში წაიღეს და ახლა სურო ბევრგან გავრცელდა, როგორც შესანიშნავი დეკორატიული მცენარე. სუროს ღეროს დაწნეხავენ და სასიამოვნო სუნის ფისს იღებენ, ამ ფისს იყენებენ მედიცინაში და მხატვრობაში ზეთოვანი საღებავებისათვის. სუროს ყვავილებისაგან დასავლეთ საქართველოში ფუტკრები გემრიელ თაფლს ამზადებენ. სუროს ნაყოფს ზამთარში მადიანად მიირთმევს შაშვი.

ნიკო წამოხტა და გიორგის ასე მიმართა:

— ძია გიორგი, აღარ მოვჭრი ჩვენს ბაღს სურო მართლაც რომ ამშვენებს.

ბ. მინდაძე

44/38
ეროვნული ბიბლიოთეკა

# ადამიანი ყველაზე ძლიერია

ლატვიური ზღაპარი

ტყის მხეცებმა ადამიანს უთხრეს:

— გვიფრთხილდი, გაგგლეჯთ, შეგჭამთ და მერე ულრან ტყეში დავიმალებით; იქ ჩვენ ვერ მოგვაგნებენო.

ფრინველები ტრაბახობდნენ:

— ჩვენ ცაში ისე მაღლა ავალთ, რომ ადამიანი ვერ მოგვწვდება, მას ფრთები არ აქვსო.

თევზი კი ფიქრობდა:

— ჩაიყურყუმელავებს ადამიანი წყალში, სუნთქვას ვერ შესძლებს და ვერ დამიჭერსო.

— ჭიაყელა ამბობდა:

— მიწაში ღრმად ჩავიმალები, ადამიანი ვერ მომაგნებს და თუ მომაგნო, მაინც იქ დამტოვებსო.

ადამიანმა წაიყვანა ძაღლი, წაიღო ისარი, მახე, ანკესი და სანადიროდ წავიდა.

ძაღლმა მხეცების კვალს მიაგნო, ადამიანმა ისინი დახოცა; ფრინველები მახეში შეიტყუა; ჭიაყელა მიწიდან ამოთხარა, ანკესზე წაოაცვა და თევზი დაიჭირა.

ასე დასძლია ადამიანმა ყველა.

თარგმანი **გრ. ჩიქოვანისა**

ნახატი **ა. კანდელაკისა**



ყდის პირველი გვერდის მხატვრობა—**ი. გაბაშვილისა**

პასუხისმგებელი რედაქტორი **რ. მარგიანი**
სარედაქციო კოლეგია: **გრ. აბაშიძე, ეკ. ბურჯანაძე, ი. გრიშაშვილი, შ. ცხადაძე, თ. თუმანიშვილი, მაყვ. ფრევლიშვილი, ი. სიხარულიძე, ნ. უნაფეკლიშვილი.**

**გამომცემლობა „კომუნისტი“.** რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. 1 სართ. ტელ 3-81-85

**გამომცემლობის შეკვ. № 5 სტამბის შეკვ. 167/1618 ტირაჟი 7000 უე 00831 ფასი 5 მან.**

ტექსტი აწყობილია ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფკომბინატ „კომუნისტის“ სტამბაში. ჟურნალი